



შპს „ელსელემა“

საიდენტიფიკაციო კოდი: 204438073

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო წლისთვის

შპს „ელსელემა“

საიდენტიფიკაციო კოდი 204438073

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული

საანგარიშგებო წლისათვის



შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	3
ფინანსური ანგარიშგება.....	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	6
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	7
1.ზოგადი ინფორმაცია	7
2.მომზადების საფუძველი.....	7
3.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	8
3.2. სავაჭრო მოთხოვნები	9
3.4. მარაგები	9
3.5. ძირითადი საშუალებები.....	9
3.6. სავაჭრო ვალდებულებები.....	10
3.7. საგადასახადო ვალდებულებები.....	10
3.8. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები.....	10
3.9. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	10
3.10. შემოსავლის აღიარება.....	10
3.11. ხარჯების აღიარება	11
4. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები	11

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ელსელემა“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების - „მსს ფასს“ სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- ✓ მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ✓ გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- ✓ განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული „მსს ფასს“ სტანდარტის შესაბამისად.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ✓ ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ✓ ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება „მსს ფასს“ სტანდარტის მოთხოვნებს;
- ✓ სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ✓ კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 25 სექტემბერს.



შპს „ელსელემა“

საიდენტიფიკაციო კოდი: 204438073

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს „ელსელემა“

204438073

ფინანსური მდგომარეობა:

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	3.1	890	648 087
სავაჭრო მოთხოვნები	3.2	384 727	239 232
მარაგები	3.3	1 366 210	932 786
მზა პროდუქცია	3.3	132 108	108 575
სხვა აქტივები		-	25 737
ძირითადი საშუალება	3.4	943 905	991 797
სულ აქტივები		2 827 840	2 946 214
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	3.5	2 376 637	1 264 672
საგადასახადო ვალდებულებები	3.6	-118 970	60 198
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	3.7	1 111 861	1 538 138
სხვა ვალდებულებები		66 171	71 551
სულ ვალდებულებები		3 435 699	2 934 559
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		8 700	8 700
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	3.8	-616 559	2 955
სულ საკუთარი კაპიტალი		-607 859	11 655
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2 827 840	2 946 214

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	01.01.2018- 31.12.2018
ამონაგები		2 026 341
საქონლის გაყიდვიდან	3.9	2 023 617
მომსახურების გაწევიდან	3.9	2 724
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	3.3	-1 866 597
საწყისი მარაგები	3.3	-1 041 361
მარაგების შესყიდვა	3.3	- 1,823,501
გადამუშვენის დანახარჯები	3.3	-500 053
საბოლოო მარაგები	3.3	1 498 318
საერთო მოგება		159 744
სხვა შემოსავალი	3.10	14 104
დასაქმებულთა ანაზღაურება	3.10	-168 738
ცვეთა და ამორტიზაცია	3.4	- 56 162
საპროცენტო ხარჯი	3.7	- 188 976
სხვა ხარჯები	3.10	-42 995
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	3.10	-336 491
სულ საოპერაციო ხარჯები		-779 258
მოგება / (ზარალი)		-619 514



შპს „ელსელემა“

საიდენტიფიკაციო კოდი: 204438073

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო წლისთვის

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
საკუთარი კაპიტალი			
შპს -ს კაპიტალი		8700	8700
საემისიო შემოსავალი		-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	3.8	-616559	2955
გადაფასების რეზერვი		-	-
სხვა რეზერვები		-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს		607859	11655



შპს „ელსელემა“

საიდენტიფიკაციო კოდი: 204438073

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო წლისთვის

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ელსელემა“ დაფუძნებულია 2002 წლის 06 აგვისტოს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში მისი რეგისტრაციის №06/4-1051

დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 03/04/2003 წლიდან;

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, გურამიშვილის გამზირი 64^ა

ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, გურამიშვილის გამზირი 64^ა

საიდენტიფიკაციო ნომერი: 204438073

დამფუძნებელი და გენ.დირექტორი: ელგუჯა მამასახლისი (პ/ნ01017004542), 100 % წილის მფლობელი.

შპს „ელსელემა“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტანსაცმლის წარმოება ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი სრულად:14120

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს „ელსელემა“ პირველ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია ნორმატიული აქტების საფუძველზე:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის;

„მსს ფასს“-ზე გადასვლის შემდგომ სააღრიცხვო პოლიტიკა არსებითად არ განსხვავდებოდა წინა პერიოდებში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკიდან. ამიტომ სტანდარტის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების / ფულადი აქტივების / ვალდებულებების აღრიცხვა ხდება ანგარიშგების დღეს ეროვნული ბანკის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ასახულია ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები აღრიცხულია ეროვნული ბანკის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის ეკვივალენტით ლარში, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით. კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგების და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების/ხარჯების ანგარიშებზე.

ვალუტა	სავალუტო გაცვლითი კურსები პერიოდის ბოლოს	
	31.12.2018	31.12.2017
აშშ დოლარი	2.6766	2.5922
ევრო	3.0701	3.1044

კომპანიის ფულადი სახსრები სალაროში და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს:

	ანგარიში	01.01.2018	31.12.2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1110	2528	570
საბანკო ანგარიში ეროვნულ ვალუტაში	1210	645397	293
საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში (USD)	1220	162	27
საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში (EUR)	1220	-	-
სულ ფულადი სახსრები:		648087	890

3.2. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის კომპანიის ძირითადი საქმიანობის შედეგად გაყიდული პროდუქციის ან გაწეული მომსახურებიდან მომხმარებლისგან მისაღები თანხები. წარმოადგენენ მოკლევადიან აქტივებს და აღიარდება პროდუქციის მომსახურების გასაყიდი ფასის მიხედვით.

3.3. მარაგები

სასქონლო მატერიალური ფასეულობების შემოსავალში აღება ხდება ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსთვის დასაბრუნებელი გადასახადებისა).

3.4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღიარების კრიტერიუმები ბასს 16 - და მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები შემოსავალში აღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახდელებს, არადაბრუნებად გადასახადებს, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით.

3.5. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიქმნება საქონლის მოწოდებასთან ან/და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.

3.6. საგადასახადო ვალდებულებები

კომპანიის საგადასახადო ვალდებულებას 31.12.2018 წლისთვის შეადგენს მხოლოდ ის ვალდებულება, რომელიც აისახება პერიოდის ბოლოს: გადასადხელი დღგ, რომლის გადახდაც ხდება არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

3.7. სესხი ვალდებულებები

სესხი აღირიცხება საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

3.8. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი

კომპანიას კაპიტალში აქვს საქმიანობის შედეგად მიღებული გაუნაწილებელი მოგება/ზარალი, რომელიც ასახულია მის ბალანსში. კომპანიას არ გაუცია დივიდენდები.

3.9. შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც:

- კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- შესაძლებელია ამონაგები თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;

შემოსავლების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

3.10. ხარჯების აღიარება

ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.

4. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშის განმარტებით შენიშვნებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2018 წლის საანგარიშო პერიოდის ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის კომპანიაში არ ჰქონია ადგილი ისეთ მოვლენებს, რაც საჭიროებს ანგარიშგებაში მოცემული პერიოდის კორექტირებას ან შენიშვნებში მათ ასახვას.

გენ.დირექტორი:

/ ელგუჯა მამასახლისი/